საქართველო
ადიგენის მუნიციპალიტეტის
მერია

1340-09-2-202104271159

№ 1340/09
27/04/2021

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია გაცნობებთ, რომ დაბა აბასთუმანში საკუთრებაში გვაქვს უძრავი ქონება კერძოდ რუსთაველის ქN29-ში ყოფილი კლუბის შენობა სარდაფით (ს/კ 61.11.01.177.01.500), ლადო ასათიანის ქN7-ში ყოფილი სახანძროს ავტოფარეხი (ს/კ 61.11.21.288) და ლადო ასათიანის ქN9-ში ყოფილი ცხენოსანთა ჯარის კომპლექსის მთავარი შენობა (ს/კ 61.11.03.006.01.500) რომლებიც შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში. აღნიშნული შენობა-ნაგებობები ავარიულ მდგომარეობაშია და დაკარგული აქვს იერსახე.

სურვილი გვაქვს ზემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონების პრივატიზება ელექტრონული აუქციონის ფორმით.

გთხოვთ მოგვცეთ წერილობითი თანხმობა უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

დანართის სახით გიგზავნით საპრივატიზაციო ნუსხას.

ზაქარია ენდელაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტრო

Ministry of Culture,
Sport and Youth
of Georgia

0108 ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4. ცხელი ხაზი: (+995 32) 2-02-22-29
N4 Sanapiro str., Tbilisi 0108, Georgia. Hotline: (+995 32) 2-02-22-29
www.mcs.gov.ge

№ 00007902

03/06/2021

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ზაქარია ენდელაძეს

ბატონო ზაქარია,

გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილით მომართა სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ (N09/1639, 19.05.2021) ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმანში შოთა რუსთაველის ქ. N29-ში (ს/კ 61.11.01.177.01.500), ლადო ასათიანის ქ. N7-სა (ს/კ 61.11.21.288) და ლადო ასათიანის ქ. N9-ში (ს/კ 61.11.03.006.01.500) არსებული უძრავი ქონების (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით სამინისტროს პოზიციის დაფიქსირების თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამინისტრო თანახმაა განხორციელდეს აღნიშნული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

დანართის სახით გიგზავნით სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილს.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

კარლო (კახა) სიხარულიძე
მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990121375918521

19 / მაისი / 2021 წ.

№09/1639

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

მოგახსენებთ, რომ სააგენტოში შემოსულია ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის ზაქარია ენდელაძის 2021 წლის 27 აპრილის N 1340/09 კორესპონდენცია, რომელიც ეხება დაბა აბასთუმანში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების, კერძოდ რუსთაველის ქN29-ში ყოფილი კლუბის შენობა სარდაფით (ს/კ 61.11.01.177.01.500), ლადო ასათიანის ქN7-ში ყოფილი სახანძროს ავტოფარეხი (ს/კ 61.11.21.288) და ლადო ასათიანის ქN9-ში ყოფილი ცხენოსანთა ჯარის კომპლექსის მთავარი შენობის (ს/კ 61.11.03.006.01.500) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს. აღნიშნულ ქონებებს მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, შესაბამისად მათზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით, „კულტურული მეემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს ხსენებული მიწის ნაკვეთების და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება კანონდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. დამატებით გიგზავნითადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ გადმოგზავნილ კორესპონდენციას.

დანართი: 1(ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა გაფრინდაშვილი